



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის
სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების
სააგენტოს უფროსის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030256503740214

№ 02-762/თ

05 / ივნისი / 2014 წ.

სამედიცინო საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ

საქართველოს კანონის “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” (მუხლი 9, მე16 პუნქტი) და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-2 მუხლის, პირველი პუნქტის, „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შ.პ.ს. „ემერჯენსი სერვისის“ ფილიალს (მისამართი: ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა) მიეცეს „სასწრაფო სამედიცინო დახმარების“ საქმიანობის განხორციელების უფლება.
2. ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნული ინფორმაცია შეტანილ იქნას სამედიცინო დაწესებულებათა უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში (ქ. თბილისი აკ. წერეთლის გამზირი №144) ან სასამართლოში.
4. ბრძანება ძალაში შედის ხელისმოწერისთანავე.

საფუძველი: შ.პ.ს. „ემერჯენსი სერვისის“ ხელმძღვანელის გიორგი ვაშაკიძის განცხადება N51313, 20.05.2014წ;
ადგილზე შემოწმების აქტი N35, 30.05.2014წ.

სააგენტოს უფროსი

გია თვალავაძე